



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
MUNICIPALITY COUNCIL OF TSKALTUBO



განკარგულება:გ-49. 49231186

თარიღი:28/04/2023

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №76

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2022 წლის მეოთხე და 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2022 წლის მეოთხე და 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის 'ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში 2022 წლის მეოთხე და 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2022 წლის მეოთხე და 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

კობა გურემიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ანგარიში

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2022 წლის მეოთხე და 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური არსებული კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებას, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის მობილიზაციისა და სამხედრო ძალების რეზერვთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

მოგახსენებთ, რომ 2022 წლის მე-4 კვარტალში და 2023 წლის პირველ კვარტალში პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილ იქნა სხვადასხვა წელს დაბადებული 166 მოქალაქე, გამწვევ კომისიაზე გამოძახებული წვევამდელიდან, საქართველოს შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში ჩაყვანილ იქნა 87 წვევამდელი, მათგან საქართველოს სამხედრო ძალებში გაწვეულ იქნა -6, დამატებით, სამედიცინო გამოკვლევაზე გაგზავნილ იქნა-3, სამხედრო სამსახურისთვის შეზღუდულად ვარგისად იქნა ცნობილი-70, დროებით უვარგისია სამხედრო სამსახურისთვის 10 წვევამდელი. პრემიერმინისტრის ბრძანებით გაწვევაგადაუვადდა 1 წვევამდელს, მოსაკრებელი გადაიხადა ორმა წვევამდელმა

გამწვევი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, შეღავათი გაუფორმდა: 176 სტუდენტს, 14-კოლეჯის სტუდენტს, 19-მოსწავლეს, 15-დედისერთას, 13-ერთშვილიანს და 5-ორშვილიანს, 77 მღვდელმსახურს.

პერიოდულად მიმდინარეობდა, პერსონალური უწყებების დარიგება ქალაქის ტერიტორიაზე და მუნიციპალიტეტის სოფლებში, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევ წვევამდელთა პირადი საქმეებისა და დოკუმენტების მომზადება, რეზერვში ჩასარიცხ მოქალაქეთა ბრძანების პროექტის მომზადება და რეზერვში ჩარიცხვა.

საცხოვრებელი რეგისტრაციის ადგილზე ვერ მოხერხდა წვევამდელების დაუწყება და მათი მასალები გადაეცა პოლიციას,

24 წვევამდელზე გადაეცა მასალები სასამართლოს - ვინაიდან დაუწყების შემდეგ არ გამოცხადნენ გამწვევ კომისიაზე.

ჩაირიცხა რეზერვში ზღვრული ასაკის შესრულების გამო (27 წელი) - 109 წვევამდელი, 1-ალტერნატიული შრომითი სამსახურის რეზერვში .

ჩაირიცხა რეზერვში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ - 20 მოქალაქე

პერიოდულად მიმდინარეობდა პერსონალური უწყებების დარიგება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ასევე პერიოდულად ხდებოდა სატელეფონო დაუწყება.

მოხსნილია სამხედრო აღრიცხვიდან საქართველოს სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით 16 გარდაცვლილი მოქალაქე, ასევე მოხსნილია და გადაყვანილია სამხედრო სპეც აღრიცხვაზე 13, ხოლო საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის შეცვლასთან დაკავშირებით აყვანილია აღრიცხვაზე 9 მოქალაქე და რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გადაგზავნილია 54 პირადი საქმე, სასამართლოებიდან შემოსული 58 განაჩენის ასლის შესახებ შესრულდა შესაბამისი დონისძიებები

გაიცა რეზერვისტის დროებითი სამხედრო მოწმობა 26 რეზერვისტზე.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა G-1 სამმართველოდან მიღებულია 4 მომართვა

კვარტლის განმავლობაში ხდებოდა საქართველოს სერვისების განვითარების სააგენტოდან შემოსული წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მამრობითი სქესის პირთა სიების შედარება ანბანურ წიგნებთან, რომლებმაც გაიარეს რეგისტრაცია ან მოიხსნენ რეგისტრაციიდან და პირად მონაცემებში და ანბანურ წიგნებში გაკეთდა შესაბამისი აღნიშვნები.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის საქმისწარმოებისას დამუშავდა (დოკუმენტების რეგისტრაციაში გატარება, რეზოლუციისათვის მომზადება, ადრესატებისათვის გადაცემა) 91 განცხადება, 135 შემოსული წერილი და 271 გაგზავნილი წერილი, რომლებიც გაეგზავნა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში შემოსული დოკუმენტაცია დამუშავებულ იქნა ელექტრონულად, ასევე მომზადდა მერის ბრძანების 30 და სამსახურის უფროსის 1 პროექტი გაგზავნილ იქნა საფოსტო გზავნილები და შეიქმნა წვევამდელთა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის 28 ოქმი.